ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 192

"19" მაისი 2023 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა №19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კონუსი 08"-ისთვის (ს/ნ. 206330861) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა №19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კონუსი 08"-ისთვის (ს/ნ: 206330861) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 26 აპრილის №23.555.640 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა №19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კონუსი 08"-ისთვის (ს/ნ. 206330861) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 700 (ორი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე